

# ხობის მოამბე

№5 (7087) 8 ივლისი,
შაბათი, 2017 წელი
ფასი 70 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო


## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

29 ივნისს, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და გამგეობის ხელმძღვანელი პირები.

სხდომაზე განხილულიქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები, მათ შორის: დადგენილების პროექტი: „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.



აღნიშნულ დებულებებში „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ახალი რედაქციის შესაბამისად, ხორციელდება საკრებულოს აპარატისა და გამგეობის საჯარო მოხელეთა თანამდებობათა სახელწოდებების განსაზღვრა; საჯარო მოხელეთა უფლებების, ვალდებულებების, საკვალიფიკაციო მოთხოვნების, სამუშაოთა აღწერილობების რეგულაცია.

„სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი კერძო სამართლის იურიდიული პირების ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვისთვის ადგილობრივი მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ“ დადგენილების პროექტით მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლისგან გათავისუფლდა სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი ის კერძო სამართლის იურიდიული პირები, რომლებიც ხობის მუნიციპალიტეტში ახორციელებენ წყალმომარაგების სისტემის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

საკრებულოს გადაწყვეტილებით დამტკიცდა ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ნუსხა, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უვარგისი ქონება მომზადდება საპრივატიზებოდ.

სხდომაზე ასევე განხილულ იქნა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალების პრაქტიკული მართვის სწავლების მიზნით ნებადართული გზების განსაზღვრის შესახებ“.

დადგენილების მიხედვით, ქ. ხობის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალების პრაქტიკული მართვის სწავლებისთვის, განისაზღვრა თამარ მეფის სანაპიროს, ვახტანგ გორგასლის, იაკობ გოგებაშვილის, გიორგი ჭყონდიდელის, თენგიზ ქაჯაიას და თედო სახოკიას ქუჩები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვა საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

## მაჟორიტარი პარლამენტში



უკრაინის პარლამენტთან არსებული მეგობრობის ჯგუფი, რომლის წევრიც ირაკლი (დაჩი) ბერაიაა საქართველოში უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს იგორ დოლგოვს შეხვდა. შეხვედრაზე, მხარეებმა ორ ქვეყანას შორის არსებული თანამშრომლობის დინამიკა მიმოიხილეს და ქვეყნებს შორის განსაკუთრებული მეგობრული ურთიერთობების არსებობას გაუსვეს ხაზი

* * *

ხობის მუნიციპალიტეტში უხვი ნალექის შედეგად შექმნილ ვითარებას ირაკლი (დაჩი) ბერაია ადგილზე გაეცნო და გათენებამდე ადგილობრივებთა ერთად იმყოფებოდა. მან ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავასთან ერთად ხობის მუნიციპალიტეტში მდინარე ყორათზე ორი ადმინისტრაციული ერთეულის ჭალადიდი-შუა ხორგის დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობაც დაათვალიერა.



## ნოჯიხევში მცხოვრებ დევნილს სამინისტრომ სახლ-კარი შეუძინა



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი სოზარ სუბარი, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ლევან შონია, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში აფხაზეთიდან დევნილი შონიების ოთხსულიან ოჯახს ესტუმრნენ, რომელსაც სამინისტრომ კერძო სახლი და ნახევარი ჰექტარი მიწის ნაკვეთი შეუსყიდა. აფხაზეთის ომის მონაწილე მალხაზ შონია, სახლთან ერთად, თხილისა და დაფნის ბაღების მესაკუთრე გახდა, რაც მისი ოჯახის შემოსავლის მთავარ წყაროდ იქცევა.

„სოფლად სახლის“ პროექტის ფარგლებში, დევნილი ოჯახი თავად არჩევს კერძო სახლს საქართველოს ნებისმიერ რეგიონში. სახლებს თან ახლავს მიწის ნაკვეთები, რაც დევნილი ოჯახებისთვის შემოსავლის დამატებით წყაროს წარმოადგენს. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ სამეგრელოს რეგიონში კერძო სახლი და საკარმიდამო მიწის ნაკვეთი 649 დევნილ ოჯახს შეუსყიდა.


ინტერვიუ

მომავლის რწმენით და იმედით

ბორის ბერაია–ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის დირექტორი.

3-4

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებები

5-10

# მაჟორიტარი პარლამენტში

## ივნისის თვე–პარლამენტის მაჟორიტარი წევრის საქმიანი კოლაჟი

საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარმა წევრმა ირაკლი (დაჩი) ბერაიამ ივნისის თვე მშობლიური მუნიციპალიტეტიდან „ყვავილების მეჯლისით“ დაიწყო. სადღესასწაულო განწყობა ხობის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა შექმნეს. იქვე, ჭადრების ხეივანში ბავშვების მიერ ყვავილების თემაზე შექმნილი ნამუშევრების გამოფენა მოეწყო.

1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის საზეიმო განწყობამ ქუთაისში, პარლამენტის სასახლეში გადაინაცვლა.



პარლამენტის მაჟორიტარმა წევრმა ირაკლი (დაჩი) ბერაიამ ქუთაისის პარლამენტში, ხობის მუნიციპალიტეტის კერძო და საჯარო სკოლების წლევანდელ წარჩინებულ კურსდამთავრებულებს და კლასის დამრიგებლებს უმასპინძლა.

მოეწყო შიდა საპარლამენტო ექსკურსია. მაჟორიტარსა და ახალგაზრდებს შორის შეხვედრა საინტერესო და მეგობრულ ვითარებაში წარიმართა.



საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში, საქართველოს პარლამენტის, ფინანსთა სამინისტროს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ) შორის, ხელი მოეწერა საჯარო ფინანსების მართვის სფეროში თანამშრომლობის მემორანდუმს.

მემორანდუმზე ხელმოწერის ცერემონიალს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი (დაჩი) ბერაია ესწრებოდა.

GIZ-ის პროგრამა - „საჯარო ფინანსების მართვა სამხრეთ კავკასიაში“ - გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს დაკვეთით ხორციელდება და მისი კომპონენტებია: შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირება, საგადასახადო და საბაჟო სფეროები, სახელმწიფო შიდა საფინანსო კონტროლის სისტემები, გარე საფინანსო კონტროლი და საპარლამენტო საბიუჯეტო ზედამხედველობა.

---

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ლაშა ხუციშვილმა პირველი მოსმენით განსახილველად წარადგინა კანონპროექტები: „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომლებიც მოგების გადასახადის დაბეგვრის რეჟიმის, გადასახადების ადმინისტრირებისა და საბაჟო პროცედურების სრულყოფის მიზნით შემუშავდა.

კომიტეტის სხდომაზე ირაკლი (დაჩი) ბერაიამ ფინანსთა მინისტრის მოადგილეს ინიციატივით მიმართა: „პირველ რიგში მინდა გამოვეხმაურო თხევად გაზზე აქციზის გაზრდის ინიციატივას. მე, პრინციპში მხარს ვუჭერ. უბრალოდ ეს გაზრდა არ უნდა გავრცელდეს სოციალური მოხმარების თხევად გაზზე. მოგეხსენებათ, ჩემი მუნიციპალიტეტი ხობი არ არის გაზიფიცირებული და დღეს მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის თხევადი გაზი არის ენერგიის ერთ-ერთი საშუალება. აქედან გამომდინარე, სოციალურ გაზზე დავტოვოთ იგივე გადასახადი, ხოლო თხევად გაზზე ბუნებრივი და ლოგიკური იქნება თუ ეკონომიკური მიზნების გამოყენების შემთხვევაში, აქციის გადასახადს გავზრდით“–აღნიშნა ირაკლი (დაჩი) ბერაიამ.

„თხევად გაზთან მიმართებაში, რომ მოხდეს სოციალური ნაწილის გამიჯვნა, თქვენს პოზიციას ცალსახად ვეთანხმები და მეორე მოსმენაზე ამის გათვალისწინებით იქნება წარმოდგენილი ჩვენი პოზიცია“–განაცხადა ლაშა ხუციშვილმა.

---

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ კახაბერ გულედანმა პირველი მოსმენით განსახილველად წარადგინა კანონპროექტთა პაკეტი - კანონპროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ და მისი თანმდევი კანონპროექტები.

კომიტეტის სხდომაზე ირაკლი (დაჩი) ბერაიას შეკითხვა:

„გაზრდილი ხარჯის დიდი ნაწილი ძირითადად სახელფასო ფონდისთვის იყო გამიზნული. ვეთანხმები იმ ინიციატივას, რომელიც თქვენ წარმოადგინეთ. მუნიციპალიტეტებს შორის დაბალანსებული უნდა იყოს სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით ბიუჯეტები. თუმცა, დღეს ჩვენთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა დასაქმება და ეს ხომ არ გამოიწვევს დაუსაქმებელ ადამიანთა ზრდას. ამასთანავე, ოპტიმიზაციის შედეგად მიღებული ეკონომიები მოხმარდება თუ არა ინფრასტრუქტურული ან სხვა პროექტების განხორციელებას, რომელიც ასევე, სამუშაოს გაზრდას და ახალი დასაქმების პოტენციალს შექმნის?“–ირაკლი (დაჩი) ბერაია

„გაერთიანებული მუნიციპალიტეტი მიიღებს ორივე თვითმმართველი ერთეულის თანხას სრულად. ამ კუთხით ეკონომიაზე საუბარი არ არის. უბრალოდ, მოხდება ის, რომ თანხები დაიხარჯება უფრო ეფექტურად. რა თქმა უნდა ორი საკრებულოს და ორი მუნიციპალიტეტის მერიის გაერთიანება არ იქნება უმტკივნეულო, თუმცა არ ნიშნავს იმას, რომ თანამშრომელთა რიცხვი განახევრდება. თანამშრომლები დარჩებიან იმდენი, რამდენსაც კანონი ითვალისწინებს და რამდენსაც თვითმმართველი თვითონ ჩათვლის საჭიროდ. რაც დაიზოგება ადმინისტრაციულ ნაწილში, მეტი პროექტები წავიდა იმ რეგიონში, იმ მუნიციპალიტეტში და მის ხარჯზე მოხდება ნაწილობრივ ამ პრობლემის დაკომპენსირება“–კახაბერ გულედანი.

---



პარლამენტის მაჟორიტარი წევრი ირაკლი (დაჩი) ბერაია ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ოხვამეკარში მოსახლეობას შეხვდა.

მაჟორიტარმა მოისმინა მოსახლეობის მოთხოვნები,გაეცნო არსებულ გამოწვევებს და მათთან ერთად იმსჯელა პრობლემების გადაჭრის გზებზე.

უმთავრეს გამოწვევას ინფრასტრუქტურული საკითხები წარმოადგენდა, რომელზეც ირაკლი (დაჩი) ბერაია რეაგირებას აუცილებლად მოახდენს და შესაბამის ორგანოებთან კოორდინირების საფუძველზე, შეძლებისდაგვარად მოაგვარებს.

---

## №64 ოლქის მაჟორიტარმა ირაკლი (დაჩი) ბერაიამ სოფლის მეურნეობის მინისტრთან სამგრელოს მოსახლეობისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემაზე ისაუბრა

№64 ოლქში შემავალი სოფლების მოსახლეობისთვის სოფლის მეურნეობა არის შემოსავლის ერთადერთი წყარო. წელს აზიურ ფაროსანასთან დაკავშირებით დაიწყო მნიშვნელოვანი ღონისძიებები. თუმცა, მოსახლეობასთან შეხვედრის დროს დაფიქსირდა, რომ თხილის მოსავალი არის საკმაოდ დაზიანებული და უკვე დიდი ზარალია. როგორც მოსახლეობა აღნიშნავს ეს არ არის აზიური ფაროსანას მიერ განადგურებული. ხომ არ ფლობთ ინფორმაციას ახალი მწერის ან მცენარის ავადმყოფობის შესახებ, რომელმაც შეიძლება თხილს ზიანი მიაყენოს“–ირაკლი (დაჩი) ბერაია.

„ჩვენ გვაქვს თხილის მოსავლიანობასთან დაკავშირებით კამპანია, მაგრამ მართალია, პრობლემები მაინც არის. წელს მოსავალი ისეთი არ არის, როგორიც გვინდა. თხილი არის ძალიან მნიშვნელოვანი საექსპორტოდ პრიორიტეტული კულტურა. წლევანდელი წელი განსაკუთრებულად რთულია კლიმატური თვალსაზრისით. იყო ჭარბი ნალექი, იყო ტენიანობა და არის კომპლექსური პრობლემა, რომელიც თხილის მოსავლიანობაზე აისახა. საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც სახელმწიფო პროგრამა შემოიღო თხილის სექტორის გადასარჩენად. დაახლოებით 15 მილიონიანი კამპანიაა, რაც გულისხმობს სწორედ აზიურ ფაროსანათან ბრძოლას. თუმცა არსებობს სოკოვანი დაავადებები, რომელიც სწორედ ამ ჭარბტენიანობასთან არის დაკავშირებული და მოსავლის ხარისხზე აისახება. ჩვენი სპეციალისტები ამაზე მუშაობენ და გვექნება მოსახლეობასთან რეკომენდაციები. პრობლემები ფიტოსანიტარიასთან დაკავშირებით არსებობს. ამაზე ჩვენ უნდა ვიმუშაოთ რეკომენდაციის კუთხით, მაგრამ ფერმერებმა უშუალო ღონისძიებები უნდა ჩაატარონ. ჩვენი მხრიდან კი აქტიური კომუნიკაცია იქნება“- სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი.

---

საქართველოს პარლამენტში ირაკლი (დაჩი) ბერაია საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტისა და ვესტმინსტერის ფონდის ორგანიზებით, აგრარულ სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრას სოფლის მეურნეობის სამინისტროდან მინისტრის პირველი მოადგილე ნოდარ კერესელიძე ესწრებოდა.

შეხვედრა დისკუსიის რეჟიმში გაგრძელდა, სადაც განხილული იქნა 2018-2021 წლების სოფლის მეურნეობის ძირითადი მიმართულებები და მონაცემები (BDD.)

ირაკლი (დაჩი) ბერაიას განცხადებით, საქართველოს სოფლის მეურნეობას ნამდვილად აქვს განვითარების უდიდესი პოტენციალი და აღნიშნულ დარგში არსებული რესურსის გამოყენების აუცილებელობა. მისივე თქმით, მნიშვნელოვანია არასამთავრობო სექტორის აქტივობა. ასევე, მან იმედი გამოთქვა, რომ სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების მიმართულებით, სანამ მთავრობა საბოლოოდ განსაზღვრავს ძირითად მაკროეკონომიკურ პროგნოზებს, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელები კომიტეტს თავიანთ შენიშვნებსა და მოსაზრებებს წარუდგენენ.

---

## ხმაურზე რეგულაციები დაწესდება – 15 აგვისტოდან შესაძლოა ახალი კანონი ამოქმედდეს

ხმაურის შეზღუდვასთან დაკავშირებით კანონპროექტის განხილვა დასკვნით ფაზაშია. საქართველოს მასშტაბით ხმაურის შესახებ კანონი შესაძლოა, ძალაში 15 აგვისტოდან შევიდეს. კანონის ერთ-ერთი ინიციატორი არის ირაკლი (დაჩი) ბერაია.

როგორც ი.ბერაია ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნავს, კანონის ამოქმედებისთანავე ამოქმედდება შესაბამისი სანქციები, რომელიც კრძალავს დღისა და ღამის საათებში საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი–საჯარო დაწესებულების შენობაში აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებას. ბერაიას განმარტებით კანონპროექტი ითვალისწინებს განსაკუთრებულ აკრძალვებს ღამის 11 საათიდან დილის 8 საათამდე.

ირაკლი (დაჩი) ბერაია განმარტავს, რომ ხმაური უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე და ასევე იწვევს სხვადასხვა დაავადებების პროვოცირებას.

კანონი ითვალისწინებს ასევე საჯარიმო სანქციებს, რომლის მიხედვითაც კანონდამ-



რღვევს კანონის ამოქმედების შემთხვევაში ითვალისწინებს:

ფიზიკური-იურიდიული პირის გაფრთხილებას.

სამართალდარღვევის მეორედ ჩადენა გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით, იურიდიული პირის–500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

სამართალდარღვევის ჩადენიდან ერთი წლის განმავლობაში სამართალდარღვევის მესამედ და მის შემდეგ ყოველი მომდევნო ჩადენა გამოიწვევს დაჯარიმებას ფიზიკური პირის–300 (სამასი) ლარის ოდენობით, იურიდიული პირის–1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

---

## აგრარულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე ირაკლი (დაჩი) ბერიას შეკითხვას ოთარ დანელიამ უპასუხა



„მივესალმები აღნიშნულ ინიციატივას. მართლაც, ჩვენ არ ვართ ჭარბმიწიანი ქვეყანა და შესაბამისად იმ რესურს, რომელიც გაგვაჩნია, სჭირდება გაფრთხილება. ამასთანავე, მას სჭირდება რაციონალური გამოყენებაც. შესაძლებელია ეს პირდაპირ არ ეხება აღნიშნულ კანონპროექტს, თუმცა არის მიწები დღეს, რომელიც არ არის დამუშავებული, ჰყავს მეპატრონეები ფართობებს, რომელთაც არც უნახავთ. არის ეგეთი შემთხვევებიც. თუ არის აღნიშნული მიმართულებით საკანონმდებლო ინიციატივები დაგეგმილი? ვთქვათ, გადასახადების გაზრდა დაუმუშავებელი მიწის მიმართულებით ან სხვა მსგავსი რეგულაციები? რომელიც წაახალისებს და მოტივაციას მისცემს მიწის დამუშავებას, ან იჯარით გაცემას, ან რეალიზაციას ისეთი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებისა, რომელიც დღეს ფაქტიურად გამოყენებული არ არის. მცირემიწიან პირობებში ეს ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის და იმ პოტენციალის გამოყენებისთვის, რომელიც ჩვენთან არც ისე ჭარბად არის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება“–ირაკლი (დაჩი) ბერაია.

ჩვენ პრობლემა მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან მიმართებაში არ გვაქვს. ადგილობრივებთან მიმართებაში კომიტეტის ინიციატივით ჩვენ უკვე საშემოდგომო სესიაზე მოვამზადებთ დამატებით შეღავათების პაკეტს, რომელსაც გაითვალისწინებს ახალი კანონი და შესაბამისად, იმ პირებს, რომლებიც არამიზნობრივად ან არ ამუშავებენ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს მათზე არ გავრცელდება ეს შეღავათები. რაც, რა თქმა უნდა, მიმზიდველობას დაკარგავს და მოტივაციას შექმნის, რომ რაც შეიძლება მეტი ადამიანი დასაქმდეს მიზნობრივად სასოფლო-სამეურნეო მიწაზე. ბუნებრივია, ეს პროცესი არ არის ჩვენი მოგონილი. ბევრ ქვეყანაში, მათ შორის ევროპული სტანდარტების შესაბამისად ეს პრაქტიკა დანერგილია და ვფიქრობ, რომ საერთო გამოცდილება, რომელიც არსებობს ამ ნაწილში ჩვენ აუცილებლად უნდა გავიზიაროთ, რათა მაქსიმალურად იყოს ეს რესურსი ათვისებული“–ოთარ დანელია.



ჟურნალისტის პროფესიას სხვა, ბევრ უარყოფით და დადებით თვისებებთან ერთი სიკეთეც ახლავს თან, ადამიანებთან გაკავშირებს...

რომ ვთქვა, დიდხანს ვისაუბრეთ მეთქი, მოვიტყუებ, მაგრამ მცირე დროც საკმარისია, რომ შექმნა პატიოსანი კაცის პორტრეტი, კიდევ ერთხელ დარწმუნდე,რომ ყოველ დროსა და ხელისუფლებაში შეიძლება დარჩე პატიოსან ადამიანად. მით უფრო, დიდი ბედნიერებაა, როცა ამ ეპითეტით საზოგადოების დიდი ნაწილი გამკობს...

ბორის (ბჟან) ბერაიას ამ თანამდებობაზე დანიშვნისას საზოგადოებისგან დადებითი შეფასებები ჭარბობდა... მაინც დროს მივანდეთ ავ-კარგის გარჩევა, დროს, ულმობელსა და მიუკერძოებელს..

რაკი წარსულის გარეშე აწმყო და მომავალი არ არსებობს, ვეცადე, მის მიერ გავლილ გზას გავყოლოდი, მცირეს, მაგრამ ნიშანდობლივს..."

ბევრი რამ დაგვრჩა სათქმელი,თუნდაც ჩვენი გაზეთის ავ-კარგზე, მომავლის კონტურებზე, კარს მომდგარ არჩევნებზე, ადამიანურ ურთიერთობებზე, სიკეთესა და ბოროტებაზე...

ვეცადე „ნაწილობრივი პორტრეტი" მეჩვენებინა თქვენთვის, მინდოდა, როგორც მე, თქვენც მიგეღოთ უბრალოების ნიჭით გასხივოსნებულ ადამიანთან საუბრის სიამოვნება...

მაშ ასე, გვესაუბრება ბორის ბერაია–ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის დირექტორი...

**ინტერვიუ**

***ჩანდით. მოგვიყევით რა გზა გამოიარეთ პოლიტიკურ სარბიელზე, ეთანხმებით გამოთქმას, „პოლიტიკა ბინძური საქმეა"?***

–დიახ, გეთანხმებით, პოლიტიკაში ახალგაზრდული წლებიდან ვიყავი ჩართული, ხობის რაიონის სმაკ-ის თავმჯდომარეც გახლდით, ამას ვერ დავმალავ, მაგრამ, სადაც ვიყავი, ყოველთვის ვცდილობდი არ გადამებიჯებინა ადამიანური პრინციპებისთვის, რაც მე მგონია, მოვახერხე.

მართალია, ქალაქის მერობის შემდგომ, მქონდა პოლიტიკური წყვეტა, თუმცა 2012 წელს კენჭს ვიყრიდი საქართველოს პარლამენტის წევრობისთვის ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობიდან.

# მომავლის რწმენით და იმედით

## მცირე დოსიე:

**დავიბადე 1974 წლის 30 ივნისს. დავამთავრე ხობის №1 საშუალო სკოლა, სოხუმის უნივერსიტეტი ეკონომიკის სპეციალობით და მუშაობა დავიწყე „საფოსტო ბანკის" ხობის ფილიალში, რომელსაც ქალბატონი ქეთევან ოდიშარია ხელმძღვანელობდა. აქ მიღებული გამოცდილების გამო, მისი დიდი მადლობელი ვარ.**

**2000–2002 წლებში ამირჩიეს ქ. ხობის მერის მოადგილედ, შემდგომ კი ქ. ხობის მერად. აღნიშნული თანამდებობა ორი წლის მერე საკუთარი სურვილით დავტოვე, მუშაობა გავაგრძელე რაიონის გამგებლის მოადგილედ. იმ პერიოდში რაიონს ხელმძღვანელობდა ბატონი ანგული მიქავა, ამ ადამიანისგან ბევრი რამ ვისწავლე... შემდგომ ვმუშაობდი ხობის რაიონის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს უფროსის პირველ მოადგილედ.**

**2017 წელს დავინიშნე მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული გავითარებისა და არქიტექტურის სამსახურში წამყვან სპეციალისტად.**

**2017 წლის 1 თებერვლიდან დავინიშნე ხობის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის დირექტორად.**

**მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას და ყველა ადამიანს ჩემს მიმართ გამოჩენილი ნდობისა და დაფასებისთვის. მეც ჩემი მხრიდან ძალ-ღონეს, ენერგიას და გამოცდილებას არ დავიშურებ მინდობილი საქმის პირნათლად შესრულებისთვის.**

***ბატონო ბორის, უკვე ნახევარი წელი გავიდა, რაც ცენტრს ხელმძღვანელობთ. რამ განაპირობა ცენტრის შექმნა, რა ფუნქცია აკისრია, რომელი სამსახურები გაერთიანდნენ, რამდენი თანამშრომელია და ა.შ.***

***გთხოვთ გააცნოთ მკითხველს ცენტრის ფუნქციები, მიზნები და მიმართულებები.***

–ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი" ფუნქციონირებს 2017 წლის 1 თებერვლიდან და წარმოადგენს ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის" და ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის" სამართალმემკვიდრე სუბიექტს. ზემოთაღნიშნული ცენტრების რეორგანიზაციის პროცესი კი განპირობებული იყო იმით, რომ მეტად კოორდინირებული, მოქნილი და უფრო მეტად შედეგზე ორიენტირებული ყოფილიყო ახალი ცენტრის საქმიანობა. ცენტრის ძირითადი ფუნქციაც ამ მიზანს შეადგენს და ასეა ჩამოყალიბებული:

მუნიციპალიტეტში მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი პროცესის და მასთან დაკავშირებული სერვისების ერთიან სივრცეში მიღებით, მოქალაქეთა შემოქმედებითი და ინტელექტუალური შესაძლებლობების წარმოჩენა, ხელშეწყობა, კულტურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის პოპულარიზაცია, მოსახლეობის სულიერი და ესთეტიკური სამყაროს ჩამოყალიბებისა და განვითარების ხელშეწყობა.

მოზარდი თაობის, ახალგაზრდებისა და დაინტერესებული მოქალაქეებისთვის სახელოვნებო მიმართულების პროფესიული განვითარებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნა პროფილური წრეების საშუალებით;

მუნიციპალიტეტში ისტორიული წარსულის და აწმყოს უკეთ გაცნობის მიზნით, ფოლკლორის, საესტრადო, ხალხური რეწვის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების წრეების, სექციების, კლუბების, სტუდიების, ანსამბლების, საბავშვო, სამოყვარულო და პროფესიული თეატრალური დასის ჩამოყალიბება;

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის არაფორმალური, დამატებითი განათლების, სახელოვნებო დარგში და სპორტულ აქტივობებში ჩართულობის ხელმისაწვდომობა, მათი უნარებისა და სურვილის გათვალსწინებით;

მუნიციპალიტეტში სპორტის სახეობის მიხედვით ეროვნული ნაკრები გუნდების კანდიდატებისა და სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული ჭაბუკი სპორტსმენების მზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება. სპორტული რეზერვის მომზადების ეფექტური სისტემის შექმნა და ნაკრები გუნდებისთვის რეზერვის მომზადება;

კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენა, შეგროვება, აღრიცხვა, დაცვა, შესწავლა, ექსპონირება და პოპულარიზაცია. მუნიციპალიტეტის მასშტაბით სამუზეუმო საქმიანობის მართვა.

მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული მარშრუტების პოპულარიზება;

მხატვრული თვითშემოქმედების კონკურსების, კვირეულების და ფესტივალების ჩატარება;

განათლების სისტემაში ჯგუფური საერთო შემეცნებითი ღონისძიებების, ექსკურსიების ორგანიზება.

მოზარდებისა და დაინტერესებული მოქალაქეებისთვის კომპიუტერული ცოდნის განვითარება.

დაწყებითი მუსიკალრი განათლების უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრების ჩამოყალიბება და მართვა.

მუნიციპალური გაზეთის, ჟურნალის, ვიდეო და კინო-დოკუმენტალისტიკის, ბიულეტინების, 500 მეტი ტირაჟით დაბეჭდილი წიგნებისა და სხვა პერიოდული ან ერთჯერადი გამოცემების ბეჭდვა და გავრცელება, რომლებიც თავისი ფორმატით ემსახურება მუნიციპალიტეტის პოპულარიზებას სხვადასხვა სფეროებისა და მიზნების მიხედვით. შესაბამისი საინფორმაციო ბაზის შექმნა.

მუნიციპალიტეტში არსებული წიგნადი ფონდის დაკომპლექტებადამუშავება. მოსახლეობისთვის წიგნის ხელმისაწვდომობისა და მკითხველთა მომსახურების უზრუნველყოფა.

ცენტრის სტრუქტურული ერთეულებია:

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი;

მუზეუმების გაერთიანება;

მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი;

სასპორტო სკოლა;

სამუსიკო სკოლა;

კომპიუტერული სწავლებისა და მომსახურების ცენტრი.

***უკვე შეიძლება ითქვას, რომ იდეამ გაერთიანების შესახებ, გაამართლა?***

–რა თქმა უნდა, იდეამ გაერთიანების შესახებ, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, გაამართლა.

***ამ მოკლე დროში რა გაკეთდა მნიშვნელოვანი, რისი გამოკვეთა შეიძლება?***

–ცენტრის შექმნის თვალსაზრისით განხორციელებული რეორგანიზაცია ძირითადად ემსახურებოდა მუნიციპალიტეტის მოსწავლეთა, ახალგაზრდობის, მოსახლეობის ძირითადი მისწრაფებებისა და უნარების კოორდინაციას, კადრების გადახალისებას, კულტურული, სკოლისგარეშე განათლების, სპორტული, სახელობო და სახელოვნებო, ბეჭდვითი მიმართულებით დაინტერესებული და დასაქმებული რესურსით მუნიციპალიტეტის უკეთ წარმოჩენას.



ოჯახთან

ამ მოკლე დრომ, რაც ცენტრი შეუდგა საქმიანობას, დაგვარწმუნა, რეორგანიზაციის სისწორეში. სწორედ კოორდინირებული მოქმედების საშუალება გახდა იმ წარმატებულად განხორციელებული ღონისძიებებისა და პროექტების მიზეზი, რაც ამ პერიოდში ცენტრის ორგანიზებითა და ხელმძღვანელობით მოხდა.

წინ ჯერ კიდევ არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი გველის, რაც განსაკუთრებულად წარმოაჩენს ჩვენი მუნიციპალიტეტის ორიგინალურ სახეს და შესაძლებლობებს.

ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ეს არის დიდი პასუხისმგებლობის მომტანი, რომელიც გაგვაჩნია ჩვენი მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა დახვეწილი გემოვნებისა და მოთხოვნების მიმართ, მიუხედავად მათი ასაკისა.

***ბატონო ბორის, თქვენ პოლიტიკაში ახალგაზრდული წლებიდან იყავით ჩართული, ბოლო პერიოდში, ქალაქის მერობის შემდეგ, თითქოს არ***

რაც შეეხება გამოთქმას, „პოლიტიკა ბინძური საქმეა", ეს პიროვნებაზე, პოლიტიკოსზეა დამოკიდებული. ბინძური ადამიანი, ყველგან ბინძურია, პოლიტიკაში იქნება ის თუ სხვა ნებისმიერ საქმეში. პოლიტიკა ადამიანს არ აბინძურებს, ულირსი ადამიანები აბინძურებენ პოლიტიკას.

***თანამშრომლების, საზოგადოების უმრავლესობა ამბობს, რომ თქვენ დადებითი აურის მატარებელი, სამართლიანი, გულკეთილი, დავამატებდი–სულნათელი ბრძანდებით. რამ განაპირობა ეს (ოჯახი, მშობლები, მეგობრები), თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს ხელმძღვანელი?***

–ყოველთვის ვცდილობ, ახლოს ვიყო თანამშრომლებთან და საზოგადოებასთან. ამას თანამდებობრივი მოვალეობაც მავალდებულებს. ვცდილობ, გული არ ვატკინო არავის, თუ ამას სამსახურებრივი მდგომარეობა არ მაიძულებს. ზოგმა ეს შეიძლება უარყოფით ხასიათად ჩამითვალოს, მაგრამ ვარ პრინციპული, რადგან კარგად მაქვს გაცნობიერებული ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც მე დამეკისრა. ვერ ვიტან უსამართლობას, რადგან ვიცი, რომ სიმართლე, ბოლოს მაინც იმარჯვებს, რაც არ უნდა რთული გადასაწყვეტი იყოს ის იმ მომენტისთვის. ვცდილობ, ჩემი კაბინეტიდან გასული ნებისმიერი ადამიანი იყოს დადებითად განწყობილი ჩემდამი

4

ინტერვიუ

# მომავლის რწმენით და იმედით

3 ←

და პოზიტივი შევიტანო მის ცხოვრებაში. მიყვარს პრობლემების ადგილზე და ოპერატიულად გადაწყვეტა.

ვერ ვიტან შიდა სამსახურებრივ დაპირისპირებებს, რადგან ვიცი, რომ, სადაც დაპირისპირებაა, იქ საქმე ზარალდება, არ ამართლებს გუნდური პრინციპით მუშაობის მოტივაციაც და თამამად შემიძლია გითხრათ, ვარ ბედნიერი, რომ ერთობლივად შევქმენით კოლექტივი, რომელსაც „ერთი ოჯახი" ჰქვია.

რათქმაუნდა, პიროვნების ჩამოყალიბებაში ოჯახს და მშობლებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ, სწორედ რომ ჩემმა მშობლებმა ბავშვობიდან ჩამინერგეს ყოფილვიყავი ადამიანების მიმართ გულკეთილი და სამართლიანი.

ადამიანი პიროვნებად ვერ ჩამოყალიბდება, თუ მას არ ჰყავს დიდი სამეგობრო წრე, ღმერთმა ამის ბედნიერება მარგუნა, რომ ცხოვრებაში უამრავი მეგობარი შევიძინე და მყავს.

ვთვლი, რომ არა ჩემი მეგობრების დახმარება და გვერდით დგომა, მე ვერ მივაღწევდი იმ პატარა წარმატებებს, რომელიც ცხოვრების მანძილზე მქონია.

ხელმძღვანელი? ნებისმიერ ხელმძღვანელს (არა აქვს მნიშვნელობა დიდ ორგანიზაციას ხელმძღვანელობს თუ პატარას), პირველ რიგში უნდა ჰქონდეს მაღალი პასუხისმგებლობა, იყოს სამართლიანი, პრინციპული, ერთგული, მეგობრული.

***როგორ ფიქრობთ, ყველა ამ მოთხოვნას აკმაყოფილებთ?***

–ყოველი შემთხვევისთვის ვცდილობ და როგორ გამომდის, უმჯობესია იმ ადამიანებს კითხოთ, რომელთაც ჩემთან ყოველდღიური სამსახურებრივი და პიროვნული ურთიერთობა აქვთ.

***ხობელთა, და არა მარტო, დიდი დღესასწაული–„ცოტნეობა" გვიახლოვდება. რას პირდებით მოსახლეობას. ალბათ, ზეიმის კონტურები გამოკვეთილია...***

–როგორც ყველა ხობელისთვის, ჩემთვისაც „ცოტნეობა" გამორჩეული და დიდი დღესასწაულია. წელს ორმაგი პასუხისმგებლობით ვხვდები ამ თარიღს. ყოველწელიწადს ჩატარებული ამ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება სტუმრების გაოცებას და სიხარულს იწვევდა. შევეცდებით წლევანდელი „ცოტნეობაც" განსხვავებული და საინტერესო გავხადოთ. უფრო კონკრეტულად, ამ საკითხთან დაკავშირებით, მიმდინარეობს მუშაობა ყველა მიმართულებით, რომლის კონტურები და შინაარსი უახლოეს მომავალში იქნება ცნობილი.

***ბორის ბერაია–შვილი, მეუღლე, მამა...***



–როგორც შვილი, ყველაფერს ვაკეთებ, რაც შემიძლია, ჩემს მშობლებს ქუჩუჩი გოგიას და იმედი ბერაიას რომ მოვეფერო და გული არ ვატკინო, რადგან ვიცი, თუ რა სიყვარული და ენერგია ჩადეს ჩემი ძმის ბესარიონისა და ჩემს აღზრდა-განათლებაში. მშობლები ჩემთვის სიყვარულის, სიმშვიდისა და სითბოს საბუდარია. ამიტომ ვცდილობ ჩემს შვილებსაც ის სითბო და სიყვარული გადავცე, რაც ჩემმა მშობლებმა ჩამინერგეს.

მიყვარს და პატივს ვცემ ჩემს მეუღლეს. თამთა და მე 19 წელია, რაც ერთად ვართ და არ მახსოვს, ერთმანეთს რამე სერიოზულად ვაწყენინეთ. გვაქვს მშვიდი და ბედნიერი ოჯახი. გვყავს ორი შვილი–უფროსი მათე 19 წლისაა, „პრინცესა" ანასტასია–4 წლის. მათე ეროვნული გამოცდებისთვის ემზადება, წარმატებებს ვუსურვებ. ვცდილობთ ჩემი შვილებისთვის ვიყო მაგალითი, ვასწავლო ადამიანის პატივისცემა, სიყვარული და მეგობრობა.

***როცა კარგ ხასიათზე ხართ აკეთებთ...***

–როცა კარგ ხასიათზე ვარ ვცდილობ სხვებსაც გადავდო ეს დადებითი მუხტი, მიყვარს მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან დროის გატარება, შვილების მოფერება. ვისურვებდი, რომ ყველა ქართველი ყოველთვის კარგ ხასიათზე იყოს, პრობლემების გარეშე.

***კარგი მეგობარი ნიშნავს...***

–ვფიქრობ, ცუდი მეგობარი არ არსებობს, თუ ის შენი მეგობარია, უარყოფითიც უნდა მიიღო და დადებითიც. არ მიყვარს მეგობრობისა და მეგობრის გამოცდა. ბედნიერი ვარ, რომ უამრავი მეგობარი მყავს, რომელთა არსებობა ჩემთვის დიდი იმედი და სიამოვნებაა.

ვთვლი, რომ უმეგობრო ადამიანი ტოტებმოჭრილ ხეს გავს, რომელსაც ზრდის უნარი და განვითარება დაკარგული აქვს. კარგი მეგობარი დიდი ხიდია და სასურველია, არასდროს დაინგრეს.

***გაბრაზებული ბორის ბერაია...***

–იშვიათად ვბრაზდები, ეს ჩემი შინაგანი თვისებაა, მაგრამ როცა ვბრაზდები, ვცდილობ, არ შევიმჩნიო, რადგან გაბრაზებას და წყენას სწრაფად ვივიწყებ.

***დიდი სუფრა, სადაც თამადა იყავით...***

–ძალიან დიდ პატივს ვცემ ქართულ ტრადიციებს და მითუმეტეს ქართულ სუფრას. ქართული დიდი სუფრის თამადა, რათქმა უნდა, ვყოფილვარ. ახლა ჯანმრთელობა არ მიწყობს ხელს გავუძლვე დიდ სუფრებს, მაგრამ ვიწრო სამეგობრო წრეში ქეიფი და თამადობა ხშირად მიწევს.

***რას ვერ პატიობთ ადამიანებს?***

–სიცრუეს და უპასუხისმგებლობას, რადგან ცრუპენტელა ადამიანს ვერასდროს ვენდობი, ვფიქრობ, ეს არის ყველაზე უარყოფითი თვისება ადამიანში.

***კურიოზი, რომელიც გადაგხდათ და ახლაც სიცილით იხსენებთ...***

–კურიოზი უამრავი მქონია. ერთი განსაკუთრებით მახსენდება, მაშინ რათქმა უნდა, ეს არ იყო სასაცილო, მაგრამ ახლა სიცილით ვიხსენებ. ალბათ, თქვენც გაგიგიათ, ავტოავარიის შემთხვევის შემდეგ, როცა ქუთაისის საავადმყოფოში მიმიყვანეს, ექიმებმა მოითხოვეს მაგნიტური რეზონანსული ტომოგრაფიის გადაღება, მაშინ 164 კილოგრამს ვიწონიდი, ტომოგრაფიის აპარატმა წონას ვერ გაუძლო და მთლიანი კომპიუტერული სისტემა მწყობრიდან გამოიყვანა, საავადმყოფო ნახევარი საათით გაითიშა კომპიუტერული ქსელიდან. როცა აღსდგა აპარატის მუშაობა, ექიმებმა დიდი წვალებით მაინც მოახერხეს, ნაწილ-ნაწილ გადაეღოთ ტომოგრაფია, სწორედ ამან „მაიძულა" დამეცვა დიეტა და 42 კილოგრამი დავიკელი.

***რა არის თქვენთვის სამშობლო?***

–სამშობლო ჩემთვის დიდი პასუხისმგებლობა და სიყვარულია, სამშობლოს ყოველთვის უნდა მოეფერო და პატივი სცე. როცა სამშობლოზე ვსაუბრობ ყოველთვის მახსენდება ნოდარ დუმბაძის სიტყვები: „იქნებ ვაზია სამშობლო? აბა, დააკვირდით, თუ დაბალია დაჩოქილმა უნდა დაკრიფო, თუ მაღლარია–ცაში ხელაპყრობილმა. ორთავე საოცრად ჰგავს ლოცვას, ლოცვა კი არაფერს ისე არ უხდება, როგორც სამშობლოს."

***წიგნი, რომლის წაკითხვაზეც არასდროს იტყვით უარს.***

–წიგნი, რომლის კითხვაც არასდროს მბეზრდება არის ჭაბუა ამირეჯიბის გენიალური ნაწარმოები „დათა თუთაშხია."

***თქვენი საყვარელი ლექსი, სიმღერა, სადღეგრძელო...***

–ჩემთვის ყველა ლექსი საყვარელია, რომელიც სამშობლოსა და სიყვარულს ეხება. სხვათა შორის, სტუდენტობის პერიოდში ლექსები მეც დამიწერია. რაც შეეხება სიმღერას, მიყვარს ქართული ფოლკლორი, ხოლო უსაყვარლესია წინაპრების სადღეგრძელო.

***რას დაამატებდით?***

–ერთ სურვილსა და ნატვრას დავამატებდი, რომ ჩვენი ქვეყანა იყოს ძლიერი, განვითარებული და ერთიანი, რომ ქუჩაში შემხვედრ ყველა ადამიანს ღიმილიანი და ბედნიერი სახე ჰქონდეს.

*ესაუბრა*
***მერი ლაგვილავა.***

# მალე „აგროლენდის" ახალი საწარმო იფუნქციონირებს, აქ დამზადებული დაფნა ევროპასა და აზიას „მოივლის"

დღეს ყველგან და ჩვენს მუნიციპალიტეტშიც ძალზე მტკივნეული თემაა უმუშევრობა. ეს განცდა ადამიანებს დიდხანია აწუხებთ. დღემდე ქვეყანაში ამ პრობლემის გადაჭრა მთავრობის სხვადასხვა ღონისძიებებითა თუ მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებით მიმდინარეობს, რითაც ადამიანები სულს ითქვამენ მთელი საქართველოს მასშტაბით. მთავარია, მონდომება და შრომის ფერხულში ჩაბმა. თუმცა, დაუსაქმებელი ადამიანების რიცხვი ისევ დიდია.

ხობის მუნიციპალიტეტში არიან ადამიანები, რომელთაც აქვთ კერძო სტრუქტურები, სადაც ხობელები საქმდებიან. ერთ-ერთი ამათგანია პირველმაისში არსებული კერძო სტრუქტურული ერთეული „აგროლენდი", სადაც ხდება დაფნის ფოთლის გაფოთვლა, რომელიც ძმებს ალეკო (გენერალური დირექტორი) და გიორგი (დირექტორი) ნადარაიებს ეკუთვნით, ისინი მართალია, ამჟამად თბილისში ცხოვრობენ, მაგრამ ხობი–ახალსოფელი (სანადარაიო) მათი ოდაბადეა, იქ მათი სახლია, სახლი, სადაც გაიზარდნენ. მათი ფუძეა. მათ თავიანთ საწარმოში მომუშავენი ძალზე ემადლიერებიან.



საწარმოს ხელმძღვანელობს ახალგაზრდა მენეჯერი გიორგი შედანია. ხელმძღვანელები ცდილობენ ნორმალური პირობები შექმნან მომუშავეთათვის.

„აგროლენდის" ერთ ობიექტში, რომელიც პირველი მაისის ცენტრში მდებარეობს, ორმოცამდე ქალბატონია დასაქმებული. მეორე ობიექტი ამჟამად მშენებლობის პროცესშია.

„აგროლენდმა" ამასწინათ პირველმაისში (სოფლის დასაწყისში) კერძო პირისგან შეიძინა 7206 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი, სადაც სამშენებლო სამუშაოები თითქმის დამთავრების პროცესშია. მალე სამუშაოები უფრო მომძლავრდება. დასამონტაჟებელია დანადგარები, ყველა საჭირო მასალა ადგილზეა მოტანილი. სექტემბერში მშენებლობა სრულყოფილი იქნება. ოქტომბრის თვეში სამუშაოები აქაც დაიწყება, მოხდება მწვანე (ნედლი) დაფნის ფოთლის გაშრობა, გაფოთვლა, დასუფთავება, დაპრესვა და დაპაკეტება. გაფოთვლაზე აქ დამატებით კიდევ 20-25 ადამიანი დასაქმდება. ორივე ობიექტში წელიწადში 300-400 ტონა დაფნის ფოთლი გაიფოთლება და დამზადდება. მართალია, სამუშაო დამღლელია, მაგრამ ანაზღაურებაც შესაბამისია და ამიტომაც დასაქმებულ ქალბატონებს შრომა არ ეზარებათ, შეიძლება ითქვას, აქ მათი მეორე ოჯახია.

როგორც „აგროლენდის" მესვეურთაგან გავიგეთ, აქ დამზადებული დაფნა გაიგზავნება უკრაინაში, რუსეთში, ევროპისა და აზიის მრავალ ქვეყანაში.

ამჟამად „აგროლენდის" ორივე ობიექტზე 50 ადამიანია დასაქმებული.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ მშენებლობის დამთავრებას და სამუშაოს სრულყოფილად დაწყებას. მთავარი კი ერთია, საწარმო კიდევ მრავალ მუშა-ხელს დაასაქმებს და ორივე ობიექტი შეუსვენებლივ იფუნქციონირებს.

წარმატებები თქვენ, „აგროლენდის" მესვეურნო, ხვავი და ბარაქა იქ მომუშავე ადამიანებო.

***ნანი კილასონია,***
***გიგლა კვიკვინია.***

# ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
# დადგენილება №12

**ქ. ხობი** **2017 წლის 29 ივნისი**

## „ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ მე-80 მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1.**

„ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/12/2016, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.106.016208) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

**ა) დადგენილების სარეზოლუციო ნაწილის პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 1.**

**ა) განისაზღვროს:**

ა.ა) შემოსულობები–9560,2 ათასი ლარით;

ა.ბ) გადასახდელები–10936,9 ათასი ლარით;

ა.გ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი - 1526,4 ათასი ლარით, მათ შორის:

ა.გ.ა) მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად - 210,0 ათასი ლარი;

ა.გ.ბ) ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები - 1316,4 ათასი ლარით;

ა.დ) სარეზერვო ფონდი– 55,4 ათასი ლარით.“

**ბ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის:**

ბ.ა) პირველი, მეორე და მესამე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 1. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი**

განისაზღვროს ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის გეგმა: სულ | 2016 მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2016 მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | 2017 წლის გეგმა: სულ | 2017 მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2017 მათ შორის: საკუთარი შემოსავლები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **შემოსავლები** | **9,507.7** | **13,789.8** | **3,744.8** | **10,045.0** | **9,510.2** | **1,316.4** | **8,193.8** |
| გადასახადები | 2,830.5 | 7,172.7 | 0.0 | 7,172.7 | 7,600.0 | 0.0 | 7,600.0 |
| გრანტები | 6,086.4 | 6,092.5 | 3,744.8 | 2,347.7 | 1,526.4 | 1,316.4 | 210.0 |
| სხვა შემოსავლები | 590.8 | 524.6 | 0.0 | 524.6 | 383.8 | 0.0 | 383.8 |
| **ხარჯები** | **6,759.1** | **7,955.7** | **550.4** | **7,405.3** | **6,316.0** | **134.2** | **6,181.8** |
| შრომის ანაზღაურება | 1,561.4 | 2,143.6 | 0.0 | 2,143.6 | 1,809.1 | 0.0 | 1,809.1 |
| საქონელი და მომსახურება | 1,501.1 | 1,705.6 | 550.4 | 1,155.2 | 1,060.1 | 0.0 | 1,060.1 |
| ძირითადი კაპიტალის მომსახურება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **პროცენტი** | **84.5** | **70.4** | **0.0** | **70.4** | **54.5** | **0.0** | **54.5** |
| სუბსიდიები | 2,771.9 | 2,997.8 | 0.0 | 2,997.8 | 2,872.5 | 134.2 | 2,738.3 |
| გრანტები | 395.5 | 373.9 | 0.0 | 373.9 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 303.7 | 493.1 | 0.0 | 493.1 | 437.5 | 0.0 | 437.5 |
| **სხვა ხარჯები** | **141.0** | **171.3** | **0.0** | **171.3** | **82.3** | **0.0** | **82.3** |
| საოპერაციო სალდო | 2,748.6 | 5,834.1 | 3,194.4 | 2,639.7 | 3,194.2 | 1,182.2 | 2,012.0 |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 1,962.1 | 6,404.8 | 3,642.7 | 2,762.1 | 4,336.1 | 1,409.0 | 2,927.1 |
| ზრდა | 2,101.1 | 6,476.7 | 3,642.7 | 2,834.0 | 4,386.1 | 1,409.0 | 2,977.1 |
| **კლება** | **139.0** | **71.9** | **0.0** | **71.9** | **50.0** | **0.0** | **50.0** |
| მთლიანი სალდო | 786.5 | -570.7 | -448.3 | -122.4 | -1,141.9 | -226.8 | -915.1 |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | 669.9 | -771.7 | -499.7 | -272.0 | -1,376.7 | -249.5 | -1,127.2 |
| ზრდა | 669.9 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **ვალუტა და დეპოზიტები** | **669.9** | **0.0** | | | **0.0** | | |
| ფასიანი ქაღალდები,გარდა აქციებისა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| სესხები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| კლება | 0.0 | 771.7 | 499.7 | 272.0 | 1,376.7 | 249.5 | 1,127.2 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 0.0 | 771.7 | 499.7 | 272.0 | 1,376.7 | 249.5 | 1,127.2 |
| **ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| სესხები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალდებულებების ცვლილება | -116.6 | -201.0 | -51.4 | -149.6 | -234.8 | -22.7 | -212.1 |
| ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **საგარეო** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| საშინაო | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| კლება | 116.6 | 201.0 | 51.4 | 149.6 | 234.8 | 22.7 | 212.1 |
| საგარეო | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **საშინაო** | **116.6** | **201.0** | **51.4** | **149.6** | **234.8** | **22.7** | **212.1** |
| ბალანსი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

**მუხლი 2. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება**

განისაზღვროს ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

| დასახელება | კოდი | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის გეგმა: სულ | 2016 მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2016 მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | 2017 წლის გეგმა: სულ | 2017 მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2017 მათ შორის: საკუთარი შემოსავლები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **შემოსულობები** | | **9646.7** | **12891.7** | **3559.6** | **9332.1** | **9560.2** | **1316.4** | **8243.8** |
| შემოსავლები | 1 | 9507.7 | 12469.8 | 3559.6 | 8910.2 | 9510.2 | 1316.4 | 8193.8 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 31 | 139.0 | 421.9 | 0.0 | 421.9 | 50.0 | 0.0 | 50.0 |
| ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გაკლებით) | 32 | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **გადასახდელები** | | **8976.8** | **13663.4** | **4059.3** | **9604.1** | **10936.9** | **1565.9** | **9371.0** |
| | ხარჯები | 3.9 | 8.8 | 0.0 | 8.8 | 9.0 | 0.0 | 9.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 04 | **უმწეოთა ერთჯერადი დახმარება** | **55.4** | **55.0** | **0.0** | **55.0** | **55.2** | **0.0** | **55.2** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 55.4 | 55.0 | 0.0 | 55.0 | 55.0 | 0.0 | 55.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.2 | 0.0 | 0.2 |
| 06 05 | **ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება** | **46.3** | **30.0** | **0.0** | **30.0** | **30.0** | **0.0** | **30.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 46.3 | 30.0 | 0.0 | 30.0 | 30.0 | 0.0 | 30.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 06 | **მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა** | **36.4** | **45.9** | **0.0** | **45.9** | **49.8** | **0.0** | **49.8** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 36.4 | 45.9 | 0.0 | 45.9 | 49.8 | 0.0 | 49.8 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

**მუხლი 2.**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

***ედიშერი ჯობავა,***
***საკრებულოს თავმჯდომარე.***

**დოკუმენტი**

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №13

2017 წლის 29 ივნისი ქ. ხობი

**ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალების პრაქტიკული მართვის სწავლების მიზნით ნებადართული გზების განსაზღვრის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.**

ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალების პრაქტიკული მართვის სწავლებისთვის (სასწავლო სვლა) ნებადართულ გზებად განისაზღვროს ქ. ხობის შემდეგი ქუჩები:

ა) თამარ მეფის სანაპირო;
ბ) ვახტანგ გორგასალი;
გ) იაკობ გოგებაშვილი;
დ) გიორგი ჭყონდიდელი;
ე) თენგიზ ქაჯაია;
ვ) თედო სახოკია.

**მუხლი 2.**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

***ედიშერი ჯობავა,***
***საკრებულოს თავმჯდომარე.***

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №14

2017 წლის 29 ივნისი ქ. ხობი

**სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი კერძო სამართლის იურიდიული პირების ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვისათვის ადგილობრივი მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი და მეორე პუნქტებისა და მე-4 მუხლის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს,

**მუხლი 1.**

1. სახელმწიფოს ან ადგილობრივი თითმმართველი ერთეულის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი ის კერძო სამართლის იურიდიული პირები, რომლებიც ხობის მუნიციპალიტეტში ახორციელებენ წყალმომარაგების სისტემის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს გათავისუფლდნენ მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისას) ნებართვის ადგილობრივი მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისაგან.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათი გავრცელდეს ხობის მუნიციპალიტეტში მშენებლობის ნებართვის გაცემის მიზნით პირველ პუნქტში მითითებული სუბიექტების მიერ წარმოდგენილ პროექტებზე.

**მუხლი 2.**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

***ედიშერი ჯობავა,***
***საკრებულოს თავმჯდომარე.***

9

დოკუმენტი

# ხობისმუნიციპალიტეტისსაკრებულოს დადგენილება №20

8 <

2017 წლის 29 ივნისი ქ.ხობი

**ხობისმუნიციპალიტეტისგამგეობისსაშტატონუსხისდამტკიცებისადათანამდებობისპირთადაპროფესიულსაჯაროთანამდებობრივისარგოებისოდენობებისგანსაზღვრისშესახებ**

საქართველოსორგანულიკანონის„ადგილობრივითვითმმართველობისკოდექსი“24-ემუხლისპირველიპუნქტის „გ“ ქვეპუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, „დ“ ქვეპუნქტის „დ.ე“ქვეპუნქტისადა53-ემუხლის„„ნორმატიულიაქტებისშესახებ“ საქართველოს კანონისმე-20 მუხლისპირველიპუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 23-ე მუხლის პირველი პუნქტისდა „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა და სახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობი ს2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი1.**

დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხა და თანამდებობის პირთა და პროფესიულსაჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები, თანახმად დანართისა.

**მუხლი2.**

დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივლისიდან.

*ელიშერი ჯობავა,*
*საკრებულოს თავმჯდომარე.*

დანართი

## ხობისმუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხა და თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები

| № | იერარქიული რანგი | თანამდებობათა-დასახელება | საშტატო რიცხოვნობა | თანამდებობრივი სარგო |
|---|---|---|---|---|
| **გამგეობის პოლიტიკური თანამდებობის პირები** | | | | |
| 1 | | გამგებელი | 1 | 2650 |
| 2 | | გამგებლი სპირველი მოადგილე | 1 | 2000 |
| 3 | | გამგებლის მოადგილე | 1 | 1800 |
| | **სამსახურში რიცხოვნობა** | **საჯარო მოხელეთა** | **3** | |
| **გამგეობის სტრუქტურული ერთეულების პროფესიული საჯარო მოხელეები** | | | | |
| **ადმინისტრაციული სამსახური** | | | | |
| 1 | პირველი რანგი | პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-სამსახურის უფროსი | 1 | 1400 |
| **საქმის წარმოების განყოფილება** | | | | |
| 2 | მეორე რანგი | მეორადი სტრუქტურულიერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი | 1 | 1000 |
| 3 | მესამე რანგი | პირველი კატეგორიის უფროსისპეციალისტი | 1 | 850 |
| 4 | მესამე რანგი | მეორე კატეგორიის უფროსისპეციალისტი | 1 | 850 |
| 5 | მეოთხე რანგი | პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი | 2 | 650 |
| **საორგანიზაციო საკითხთა განყოფილება** | | | | |
| 6 | მეორე რანგი | მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი | 1 | 1000 |
| 7 | მესამე რანგი | პირველი კატეგორიის უფროსისპეციალისტი | 1 | 850 |
| 8 | მესამე რანგი | მეორე კატეგორიის უფროსისპეციალისტი | 2 | 850 |
| 9 | მეოთხე რანგი | პირველი კატეგორიის უმცროსისპეციალისტი | 1 | 650 |
| საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის, ადმინისტრაციული ერთეულებში საქმიანობის კოორდინაციისა და საინფორმაციო უქრუნველყოფის განყოფილება | | | | |
| 10 | მეორე რანგი | მეორადი სტრუქტურულ იერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი | 1 | 1000 |
| 11 | მესამე რანგი | პირველიკატეგორიისუფროსისპეციალისტი | 1 | 650 |
| 12 | მესამე რანგი | მეორეკატეგორიისუფროსისპეციალისტი | 2 | 850 |
| 13 | მეოთხე რანგი | პირველიკატეგორიისუმცროსისპეციალისტი | 1 | 650 |
| 14 | მეოთხე რანგი | მეორეკატეგორიისუმცროსისპეციალისტი | 32 | 580 |
| **სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება** | | | | |
| 15 | მეორე რანგი | მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი | 1 | 1000 |
| 16 | მესამე რანგი | პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 1 | 850 |
| 17 | მესამე რანგი | მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 1 | 650 |
| | **სამსახურში რიცხოვნობა** | **საჯარო მოხელეთა** | **51** | |
| **საფინანსო–საბიუჯეტო სამსახური** | | | | |
| 1 | პირველი რანგი | პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-სამსახურის უფროსი | 1 | 1400 |
| **საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილება** | | | | |
| 2 | მეორე რანგი | მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილები სუფროსი | 1 | 1000 |
| 3 | მესამე რანგი | პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 1 | 850 |
| 4 | მეოთხე რანგი | პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი | 1 | 650 |
| საფინანსო ზედამხედველობისა და ბუღალტერიის განყოფილება | | | | |
| 5 | მეორე რანგი | მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი | 1 | 1000 |
| 6 | მესამე რანგი | პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 1 | 850 |
| 7 | მეოთხე რანგი | პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი | 1 | 650 |
| **შესყიდვების განყოფილება** | | | | |
| 8 | მეორე რანგი | მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი | 1 | 1000 |
| 9 | მესამე რანგი | პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 1 | 850 |
| 10 | მეოთხე რანგი | პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი | 1 | 650 |
| | **სამსახურში რიცხოვნობა** | **საჯარო მოხელეთა** | **10** | |
| **ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური** | | | | |
| 1 | პირველი რანგი | პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-სამსახურის უფროსი | 1 | 1400 |
| **მუნიციპალური ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, ტრანსპორტის რეგულირებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილება** | | | | |
| 2 | მეორ ერანგი | მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი | 1 | 1000 |
| 3 | მესამე რანგი | პირველიკატეგორიისუფროსისპეციალისტი | 1 | 850 |
| 4 | მეოთხე რანგი | პირველი კატეგორიის უმცროსისპეციალისტი | 2 | 650 |
| **სოფლის მეურნეობისა და სტატისტიკური აღრიცხვის განყოფილება** | | | | |
| 5 | მეორერანგი | მეორადისტრუქტურულიერთეულისხელმძღვანელი-განყოფილებისუფროსი | 1 | 1000 |
| 6 | მესამე რანგი | პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 1 | 850 |
| 7 | მეოთხე რანგი | პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი | 1 | 650 |
| | **სამსახურში** | **საჯარო მოხელეთა რიცხოვნობა** | 8 | |
| **ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური** | | | | |
| 1 | პირველი რანგი | პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-სამსახურის უფროსი | 1 | 1400 |
| **ურბანული განვითარებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის განყოფილება** | | | | |
| 2 | მეორე რანგი | მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - განყოფილების უფროსი | 1 | 1000 |
| 3 | მესამე რანგი | პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 1 | 650 |
| 4 | მესამე რანგი | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 1 | 650 |
| 5 | მეოთხე რანგი | პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი | 1 | 650 |
| **ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის განყოფილება** | | | | |
| 6 | მეორე რანგი | მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - განყოფილების უფროსი | 1 | 1000 |
| 7 | მესამე რანგი | პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 1 | 850 |
| 8 | მეოთხე რანგი | პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი | 1 | 650 |
| 9 | მეოთხე რანგი | პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი | 1 | 600 |
| **ზედამხედველობის განყოფილება** | | | | |
| 10 | მეორე რანგი | მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - განყოფილების უფროსი | 1 | 1000 |
| 11 | მესამე რანგი | პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 1 | 850 |
| 12 | მესამე რანგი | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 1 | 650 |
| 13 | მეოთხე რანგი | პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი | 1 | 650 |
| | **სამსახურში** | **საჯარო მოხელეთა რიცხოვნობა** | 13 | |
| **კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური** | | | | |
| 1 | პირველი რანგი | პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამსახურის უფროსი | 1 | 1400 |
| 2 | მესამე რანგი | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 2 | 850 |
| 3 | მეოთხე რანგი | პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი | 1 | 850 |
| **სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება** | | | | |
| 4 | მეორე რანგი | მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - განყოფილების უფროსი | 1 | 1000 |
| 5 | მესამე რანგი | პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 1 | 850 |
| 6 | მეოთხე რანგი | პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი | 1 | 650 |
| | | | | |
| | **სამსახურში** | **საჯარო მოხელეთა რიცხოვნობა** | 7 | |
| **შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახური** | | | | |
| 1 | პირველი რანგი | პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამსახურის უფროსი | 1 | 1400 |
| 2 | მესამე რანგი | პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 1 | 850 |
| 3 | მეოთხე რანგი | პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი | 1 | 650 |
| **ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების განყოფილება** | | | | |
| | | | | |
| 4 | მეორე რანგი | მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - განყოფილების უფროსი | 1 | 1000 |
| 5 | მესამე რანგი | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 1 | 850 |
| | **სამსახურში** | **საჯარო მოხელეთა რიცხოვნობა** | **5** | |
| **წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახური** | | | | |
| 1 | პირველი რანგი | პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამსახურის უფროსი | 1 | 1400 |
| 2 | მესამე რანგი | პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 1 | 850 |
| 3 | მესამე რანგი | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 2 | 850 |
| 4 | მეოთხე რანგი | პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი | 2 | 650 |
| 5 | მეოთხე რანგი | პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი | 3 | 600 |
| | **სამსახურში რიცხოვნობა** | **საჯარო მოხელეთა** | **9** | |

>> 10

## დოკუმენტი

9

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახური | | | | |
| 1 | პირველი რანგი | პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამსახურის უფროსი | 1 | 1400 |
| 2 | მესამე რანგი | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 1 | 850 |
| 3 | მეოთხე რანგი | პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი | 1 | 600 |
| შიდა აუდიტის განყოფილება | | | | |
| 4 | მეორე რანგი | მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - განყოფილების უფროსი | 1 | 1000 |
| 5 | მესამე რანგი | პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 1 | 850 |
| 6 | მეოთხე რანგი | პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი | 1 | 650 |
| | სამსახურში რიცხოვნობა | საჯარო მოხელეთა | 6 | |
| გამგეობის საშტატო რიცხოვნება, სულ | | | 112 | |

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №21

*2017 წლის 29 ივნისი ქ. ხობი*

**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ**

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.**

დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელისთანამდებობათა რანგირება, თანამდებობრივი სარგოები და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა თანახმად დანართისა.

**მუხლი 2.**

დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივლისიდან.

**ედიშერი ჯობავა,**
**საკრებულოს თავმჯდომარე**

**დანართი**

**ხობისმუნიციპალიტეტისსაკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობათა რანგირება, თანამდებობრივი სარგო და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა**

| № | რანგირება | თანამდებობათა დასახელება | რაოდენობა | თანამდებობრივი სარგოს ოდენობა (ლარი) |
|---|---|---|---|---|
| 1. | პოლიტიკური თანამდებობის პირი | საკრებულოს თავმჯდომარე | 1 | 2650 |
| 2. | პოლიტიკური თანამდებობის პირი | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე | 1 | 1900 |
| 3. | პოლიტიკური თანამდებობის პირი | საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე | 5 | 1550 |
| 4. | პოლიტიკური თანამდებობის პირი | საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე | | 1500 |
| ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი | | | | |
| 1. | I რანგი | პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საკრებულოს აპარატის უფროსი | 1 | 1400 |
| 2. | I I რანგი | მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საკრებულოს აპარატის განყოფილების უფროსი | 2 | 1000 |
| 3. | I I I რანგი | პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 4 | 850 |
| 4. | I I I რანგი | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 2 | 850 |
| 5. | I I I რანგი | მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 1 | 600 |
| 6. | IV რანგი | პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი | 1 | 650 |
| | ჯამი | | 11 | |

## ჩვენს მუნიციპალიტეტში

## გამგებელი მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას ადგილზე გაეცნო



ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია, „სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამების უზრუნველყოფის კომისიის“ თავმჯდომარის მოადგილე შოლინა კანკია, კომისიის წევრებთან ერთად, ხობის, პირველი მაისის და ქვემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები მოქალაქეების მომართვის საფუძველზე, ადგილზე გაეცნენ მათ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

ხობის მუნიციპალიტეტში სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამა მოქმედებს, რომელიც სოციალურად დაუცველი ოჯახების საცხოვრებელი სახლების შესაკეთებლად ერთჯერად ფულად დახმარებას (500 – 4000 ლარის ფარგლებში) ითვალისწინებს.

2017 წელს, მუნიციპალური პროგრამით 5 ბენეფიციარმა ისარგებლა.

## ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა დაიწყო

1 ივლისიდან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის „ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის“ განხორციელება დაიწყო.

ახალი პროგრამის მეშვეობით, მედიკამენტების მიღება შეუძლია ნებისმიერი ასაკის სოციალურად დაუცველ მოქალაქეს, რომლის ოჯახის სარეიტინგო ქულა განსაზღვრულია 0-დან 100 000-ის ჩათვლით და აქვს შემდეგი ქრონიკული დაავადებები:

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები;
-ფილტვის ქრონიკული დაავადებები;
-ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები;
- დიაბეტის ტიპი 2 (არა ინსულინ დამოკიდებული)

მედიკამენტების ყოველი გატანისას პირი აფთიაქში იხდის გატანილი მედიკამენტების ღირებულების 10%-ს, რაც არ აღემატება 1 ლარს, მაგრამ არანაკლებია 5 თეთრზე.

პირველ ეტაპზე აღნიშნული პროგრამით სარგებლობის საჭიროება დაახლოებით რამდენიმე ასეულობით ათას მოქალაქეს ექნება. პროგრამაში სულ განსაზღვრულია 23 დასახელების მედიკამენტი.

რა პროცედურებია საჭირო მედიკამენტის მისაღებად:

–ბენეფიციარი მიდის ოჯახის (სოფლის) ექიმთან ან ექიმ-სპეციალისტთან, რომელიც უწერს ქრონიკული დაავადების დამადასტურებელ ფორმა 100-ს. ექიმი უთითებს დაავადების დადასტურებულ დიაგნოზს და მედიკამენტის დღიურ დოზას.

- ექიმი წერს რეცეპტს, სადაც მითითებულია მედიკამენტის საერთაშორისო, არაპატენტირებული დასახელება.

- ბენეფიციარი ფორმა 100-ით, რეცეპტით და პირადობის დამადასტურებელი მოწმობის დედნით მიდის სოციალური მომსახურების სააგენტოს უახლოეს განყოფილებაში, სადაც მას არეგისტრირებენ პროგრამაში

- სოციალური მომსახურების სააგენტოში რეგისტრაციის შემდეგ ბენეფიციარი მიმართავს PSP-ს შესაბამის აფთიაქს.

- ბენეფიციარს შეუძლია ერთჯერადად მიიღოს მედიკამენტის სამი თვის სამყოფი ოდენობა.

- აფთიაქში ბენეფიციარი წარადგენს ექიმის მიერ გამოწერილ რეცეპტს და პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს

- ბენეფიციარის ნდობით აღჭურვილი პირი დამატებით წარადგენს საკუთარ პირადობის მოწმობასაც.

- მედიკამენტის ან დოზის ცვლილების შემთხვევაში ბენეფიციარი სოციალური მომსახურების სააგენტოში კვლავ წარადგენს განახლებულ ფორმა 100-ს და პირი ხელახლა რეგისტრირდება პროგრამაში. თუკი მედიკამენტის გაცემის პროცესში ბენეფიციარის ოჯახს შეეცვლება სოციალურად დაუცველთა ბაზაში მინიჭებული სარეიტინგო ქულა და ის აღემატება 100 000-ს, პირი ველარ შეძლებს მედიკამენტების მიღებას.

დაწვრილებითი ინფორმაცია პროგრამის შესახებ იხილეთ აქ:**http://ssa.gov.ge/index. php?lang_id=GEO&sec_id=1291**

## შინაური ცხოველების ჯანმრთელობის მდგომარეობა საფრთხეშია.



მომრავლდა პარაზიტები (ჰელმინთები), რომლებიც ადამიანებისთვის გადამდებია. ეს არის ჭია, რომელიც ცხოველებში რთულ დაავადებებს იწვევს. აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით, კომპანია „ვეტმარმმა“ აგრარული უნივერსიტეტის კვლევით ჯგუფთან ერთად ჩაატარა სავეტერინარო ფარმაკოლოგიის მიმართულებით კვლევა და შეიმუშავა ქართული პრეპარატი დარიშხანმჟავა თუთია, რომელიც სრულიად ანადგურებს დაავადების გამომწვევ მიზეზებს. არსებობს სხვა პრეპარატებიც, მაგრამ კვლევების შედეგებმა ცხადყო, რომ ქართული წარმოების პრეპარატი ყველას ჯობია. აღნიშნული პროექტის ავტორი და ხელმძღვანელია გოდერძი ბუკია.

პრეპარატი რეგისტრირებულია და ძირითადად საექსპორტოდ იწარმოება. წარმოება საქართველოში ხდება. მოთხოვნიდან გამომდინარე, მოხმარების სპექტრი ფართოა, ამიტომ კომპანია იწყებს ახალი ქარხნის მშენებლობას, რომელშიც თანაპარტნიორის სტატუსით საქართველოს საპარტნიორო ფონდი ერთვება. მსგავსი საწარმოს მშენებლობას მთელ კავკასიაში ანალოგი არ აქვს.

ასევე, საქართველოში პირველად იწყება ვეტერინარული პრეპარატების დამზადებისას ღეროვანი უჯრედების ტექნოლოგიების გამოყენება. ეს არის ვეტერინარიაში მკურნალობისადმი ახალი მიდგომა.

## აზიური ფაროსანას წინააღმდეგ შეწამვლითი სამუშაოები დაიწყო

ხობის მუნიციპალიტეტში ინოვაზიური მავნებლის - აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო შეწამვლითი სამუშაოები მიმდინარეობს, რომელსაც სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებთან ერთად ახორციელებენ.

სამუშაოების მიმდინარე პროცესს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა და გამგებელი გოჩა ქაჯაია ადგილზე გაეცნენ.

გვ ნ ე რ ე ნ

# ერთი საინტერესო დღე



ივნისის თვე ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ხელოვნების მასწავლებელმა მანანა შამათავამ შემოგვთავაზა ძირფესვიანად გავცნობოდით გენიალური პიროვნების, ძუკუ ლოლუას (იგი ჩვენს სოფელშია დაბადებული) შემოქმედებას.

ამ მიზნით, ვესტუმრეთ ძუკუ ლოლუას სახელობის ხალხური სიმღერების მუზეუმს, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ აქვს. გაკვეთილზე ბევრჯერ მოგვისმენია მის მიერ შექმნილი თუ მოძიებული ხალხური სიმღერები, რომლებიც ჩვენთვის ძალზე სათუთი და ძვირფასია.

სამაყოა, რომ დღეს ქართული ხალხური სიმღერებით მსოფლიოს არაერთი ქვეყანაა დაინტერესებული. საქართველოს სტუმრობენ და ახლოს ეცნობიან ჩვენს ხალხურ შემოქმედებას, ტრადიციებს.

მუზეუმის მთავარმა სპეციალისტმა ქალბატონმა ნანა ჯალაღონიამ გულთბილი მასპინძლობა გაგვიწია. საინტერესო და ამომწურავი ინფორმაციები მოგვაწოდა ძუკუ ლოლუას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, რისთვისაც დიდი მადლობა მას.

ასევე, ჩემი მეგობრების სახელით, მინდა მადლობა გადავუხადო მუზეუმის დამაარსებელს ბატონ გოდერძი ბუკიას და ხობის მუნიციპალიტეტს, რომ ასეთი უნიკალური მასალები და შორეულ წარსულში შექმნილი ქართული ხალხური შემოქმედება, ერთ დიდ მუზეუმად, უახლოეს პერიოდში იშვიათ ნიმუშად–ერთიან ძვირფას საგანძურად აქციეს.

...და ბოლოს ჩვენი სტუმრობა მუზეუმში ძუკუ ლოლუას უკვდავი „ჩელათი“ დამთავრდა..

**ნინო ფაჩულია,**

*ზემო ქვალონის საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე*



**გაზეთ „ხობის მოამბეს“ ხშირად სტუმრობს ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე, ექიმი პროფილაქტიკოსი ჯუმბერ ტურავა, რომელიც გაზეთის საშუალებით ხშირად ესაუბრება მკითხველს მეტად აქტუალურ საკითხებზე.**

**ამჟამად ექიმი–პროფილაქტიკოსი ბატონი ჯუმბერ ტურავა მკითხველებს ზაფხულის დადგომასთან დაკავშირებით რეკომენდაციებს თავაზობს.**

# გავუფრთხილდეთ ზაფხულში პოტენციურ საშიშროებებს

–მიმდინარე წლის ზაფხულში პოტენციური საშიშროება უკავშირდება მწერების, მათ შორის ტკიპის ნაკბენებს. ეტაპობრივად ტემპერატურის გადამეტებასთან ერთად დაიწყება კოღოების, ასევე ფლებოტომუსების სეზონი, რომელიც ლეიშმანიოზის გადამტანი მწერია. ფლებოტომუსები შებინდებისას გამოფრინდებიან. ჩვენი რეკომენდაციაა, მშობლებმა თავი აარიდონ შებინდებისას ბავშვების გასეირნებას, ან მათ გრძელსახელოიანი ღია ფერის სამოსი ჩააცვან.

სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ პირებს ვურჩევთ, რომ საკუთარი ცხოველები სპეციალური საშუალებებით დაამუშაონ. გასათვალისწინებელია რომ ტკიპას ხელით მოცილება არ შეიძლება. ტკიპას კბენის შედეგად ვრცელდება მრავალი საშიში დაავადება, როგორიც არის ქუ ცხელება, ყირიმ-კონგოს ცხელება, ბორელიოზი და სხვა. აღნიშნული დაავადებების შემთხვევები რეგისტრირებულია საქართველოშიც.

მთავარი, ტკიპის დროულად მოცილებაა. მინდვრიდან დაბრუნების შემდეგ ადამიანებმა სხეული კარგად უნდა დაათვალიერონ, თუ აღმოაჩინდათ ტკიპა, დროულად უნდა მოიშორონ. ხელით მოშორება არ შეიძლება, შესაძლებელია პინცეტით ამოღება, რათა ტკიპის ფეხები კანში არ ჩარჩეს. აღნიშნული მონაკვეთი უნდა ჩამოიბანონ საპნიანი წყლით და შემდგომ, უნდა დამუშავდეს ანტისეპტიკური ხსნარით, სპირტით. ალერგიული რეაქციის განვითარების შემთხვევაში, შესაძლებელია ანტიალერგიული მალამოს გამოყენება.

კოღოებისგან თავის დასაცავად მოსახლეობას ვურჩევთ დამაფრთხობელი საშუალებებისა და მწერებისაგან დამცავი ბადის გამოყენებას. ამავე დროს მინდა აღვნიშნო, რომ მიმდინარე წელს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. მიღებული გვაქვს 20 კგ. სოლფაკი, რომლის საშუალებითაც მიმდინარე წლის მაის-ივნისის თვეში მალარიისა და სხვა პარაზიტული დაავადებების გადამტანი მწერების წინააღმდეგ შეწამლული და დამუშავებულიქნა ქ. ხობის მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სარდაფები, ხოლო ქარიატაში, ჭალადიდში, პატარა ფოთში, ნოჯიხევში, ხეთაში დეზინფექცია ჩაუტარდა მოსახლეობის შინაური ცხოველების სადგომებს.

სადეზინფექციო სამუშაოების მეორე ეტაპი ჩატარდება მიმდინარე წლის ივლის-აგვისტოს თვეში.

კიდევ ერთი რეკომენდაცია, რაც ზაფხულს უკავშირდება, არის სიცხის დროს გაგრილება და წყლის მიღება. ნუ დაელოდებით წყურვილის გრძნობას, ისე დალიეთ წყალი, ორი ლიტრი მაინც დღის განმავლობაში. თავი დაცული უნდა იყო მზის პირდაპირი სხივებისგან. ტანსაცმელი მაქსიმალურად ხალვათი და ღია ფერის უნდა იყოს. თუ აუცილებელი საქმე არ არის, პაპანაქება მზეზე მოერიდეთ მძიმე ფიზიკურ შრომას.

*ესაუბრა*

**ნანი კილასონია**

სულთათანა

# შალვა ხარებავა



2 ივლისი შენი დაბადების დღე იყო ჩემო საყვარელო ძმაო, შალვა.

რა მძიმეა შენი გახსენება, იმაზე ფიქრი, რომ ვერასდროს შემოაღებ ჩემი სახლის კარებს, არადა როგორი სიხარულით გელოდებოდით ყოველთვის...

„კლაროჩკა“ დამიძახებდი, გულში ჩამიკრავდი, შუბლზე მაკოცებდი და დამლოცავდი. ხშირად მახსენებდი, რომ ჩემზე ადრე უნდა მომკვდარიყავი და მე უნდა დამეტირე. მე შენი სიკვდილი ვერ წარმომედგინა, ისე მიყვარდი, ჩემი ერთადერთი გამზრდელი ძმა.

ობლობაში გაზრდილებს, რამდენი ცუდი და კარგი დღეები ერთად გადაგვიტანია. შენ ყველას ემედებოდი. დამსახურებული მასწავლებელი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდი რაიონის პედაგოგთა არმიას... კაცური კაცი იყავი და ყველას უყვარდი. ცრემლის გარეშე ვერ გიხსენებენ შენი ნაცნობმეგობრები.

გვიჭირს უშენოდ...

დაე, ჩვენს მიერ დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა სამუდამო სასუფეველში.

ნათელში ამყოფოს შენი სული, ჩემო საყვარელო ძმაო.

***და კლავდია ხარებავა, სიძე ველოდი ხასია, დისშვილები ნატო, ეკა, დიტო ხასიები.***

# სანდრო დენისოვი



13 გაუსაძლისი ტკივილით, მოგონებებით სავსე წელიწადი გავიდა შენი უეცარი გარდაცვალებიდან, ჩემო უსაყვარლესო შვილო, სანდრიკა.

სიცოცხლით სავსე, ადრევე „დავაჟკაცებული“, კაცური მანერებით გამორჩეული აჩხოვხარ ყველას–თანატოლებს, ახლობლებს, მეზობლებს. ისევ ისევე გეფერებიან და გესიყვარულებიან, როგორც მაშინ. ამ გადასახედიდან მიკვირს კიდეც, ამდენი გულისტკივილი, ცრემლი და გოდება რომ გაიყოლე თან, ან ამდენი სიყვარული, როგორ დაიტია ცხრა წლის ბიჭის გულმა...

რა მოხდა, რატომ დაგვტოვე, არადა დილით საღ-სალამათმა გაიღვიძე, კარგ ხასიათზე და უეცრად მწუხარებით აავსე დედა ლენა, ბებო ნადია, მამიდა ალიონკა, ბიძა ვიტალი. ეს დღემდე აუტანელი ტკივილია ჩვენთვის.

წლების შემდეგ ჩვენდა ნუგეშად და იმედად მოვლენილი შენი და ნატალია უკვე 10 წლისაა.

29 ივლისი ის საბედისწერო თარიღია, როცა ანგელოზებმა გაგიტაცეს, მას შემდეგ შენს სახელს სულის ტკივილი ჰქვია. ჩვენო „წითურა“, ლამაზთვალება ბიჭო, უკვე 22 წლისა იქნებოდი.

კიდევ ერთხელ მოგეფერებით, უფალს შევავედრებთ, სანთლებს აგინთებთ, გეტყვით, ისევ გვიყვარხარ და უსაშველოდ გვენატრები, ჩვენო პატარა სანდრიკა.

***მამა სანდრო დენისოვი.***

## ს პ ო რ ტ ი



### ხობელი ძიუდოისტი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულია

მესტიის ლერი ნაკანის სახელობის სპორტულ დარბაზში, გაიმართა ოლიმპიური თამაშების პრიზიორის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის, ნესტორ ხერგიანის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში, 2003–2004 და 2005-2007 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის.

საერთაშორისო ტურნირზე წარმატებით იასპარეზა ა(ა)იპ ,,ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო, საზოგადოებრივი ცენტრის" სასპორტო სკოლის აღსაზრდელმა **ირაკლი ლეფსაიამ,** რომელმაც 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა.

### ნუგზარ წურწუმიამ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა



გერმანიის ქალაქ დორტმუნდში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში წარმატებით იასპარეზა ხობელმა სპორტსმენმა ნუგზარ წურწუმიამ. მან (55 კგ წონით კატეგორიაში) პირველივე პერიოდში აშკარა უპირატესობით 8-0 დაამარცხა რუმინელი მოჭიდავე რაზვან არნაუტი და ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ულოცავს ღირსეულ გამარჯვებას ნუგზარ წურწუმიას და შემდგომ წარმატებებს უსურვებს მას.

### საერთაშორისო ოლიმპიური დღისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიება



ქალაქ ხობში საერთაშორისო ოლიმპიური დღისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიება გაიმართა, სადაც აბსოლუტური ჩემპიონი 100 მეტრზე რბენაში **ბექა ბუკია** გახდა. ღონისძიებაში მონაწილე ყველა ახალგაზრდას საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სიგელები და მაისურები გადაეცათ.

ღონისძიებას ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია და საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა ესწრებოდნენ.

საერთაშორისო ოლიმპიური დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების მიზანი - ოლიმპიური ფასეულობების პოპულარიზაცია, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა და სხვადასხვა სპორტულ აქტივობებში საზოგადოების ფართო მასების ჩაბმა.

## მილოცვები

### ჩვენო მონატრებულო პატარებო!



ტკბილო და უსაყვარლესო შვილიშვილებო, ლუკა და ლიზი!

კუდრაჭებო, გილოცავთ დაბადების დღეს. ამიტომაც გვიყვარს ივნისისა და ივლისის თვეები, გეფერებით და გკოცნით. მენატრებით და გვიყვარხართ თქვენ რომ გგონიათ უფრო ძლიერად.

ჩვენო კარგებო, პატარებო, ულევ სიხარულს, უთვალავ წლებს გჩუქნით თქვენს ლამაზ დედიკო და მამიკოსთან ერთად.

ლამაზებო და ნიჭიერებო, ჭკვიანებო, დიდი ხნის სიცოცხლე და ჯანმრთელობა არ მოგაკლოთ უფალმა. გფარავდეთ ღმერთი!

**თქვენი მონატრებული ბებიები და ბაბუები.**

### მელანო კონჯარიას!



ჩვენო ერთადერთო სიხარულო, უკვე 7 წლის გახდი, გილოცავთ დაბადების დღეს. ლაღ, ბედნიერ, ლამაზ სიცოცხლეს გისურვებთ. უფალმა გაგაძლიეროს და დაგაბედოს ყოველივე სიკეთე, წარმატებები ცხოვრების გზაზე. გვეხილე ისეთი ბედნიერი, რაზედაც ვოცნებობთ.

***დედიკო და მამიკო.***

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

**2017 წლის 11 აგვისტოს, 4 საათზე, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ხობი, ცოტნე დადიანის №189) გაიმართება სოფელ პატარა ფოთის ასფალტობეტონის საწარმოს ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.**

**საჯარო განხილვის პერიოდში დაინტერესებულ მხარეებს პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტაციის გაცნობა, შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარდგენა შეუძლიათ შემდეგ მისამართებზე:**

***საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, გულუას ქ.№6; ტელ: +995 (32) 272-72-60;**

*** შპს „ჯიარჯი"-ს ოფისში- ქ. თბილისი, მოსაშვილის ქუჩა №24, ტელ: 2 433 033;**

*** ქ. ხობი, ცოტნე დადიანის №189, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა–414 222193; 414 222543;**

*** შპს „გამა კონსალტინგი"-ს ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 598 975 415.**

**საქმიანობასთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს, გზშ-ს ანგარიშთან დაკავშირებული შენიშვნებისა და კომენტარების წარმოდგენა შეუძლიათ 45 დღის ვადაში. გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვაზე დასწრების უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.**

**შპს „ჯიარჯი"-ს ადმინისტრაცია.**

## სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებაში ბავშვების რეგისტრაცია დაიწყო

ხობის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღებში 2017-2018 სასწავლო-სააღმზრდელო წლისთვის რეგისტრაციის პროცესი 1 ივლისს დაიწყებო. სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებაში ბავშვების რეგისტრაციაზე მოთხოვნის დაფიქსირება შესაძლებელია:

* ხობის მუნიციპალიტეტის 29 საბავშვო ბაღში;

* ა(ა)იპ ,,ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანებაში" (ც. დადიანის ქ.№169) სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებაში ბავშვების რეგისტრაციისთვის წარმოსადგენია შემდეგი დოკუმენტაცია:

* ნოტარიულად დამოწმებული დაბადების მოწმობის ასლი /2 ეგზემპლარი/ ;

* ჯანმრთელობის ცნობა;

* ფოტოსურათი (3X4 -2 ცალი);

* მშობლების პირადობის მოწმობის ასლები.

შენიშვნა : ჯანმრთელობის ცნობაში დაფიქსირებული უნდა იყოს ინფორმაცია აცრების შესახებ.

* რეგისტრაციის განაცხადზე გადაწყვეტილების მიღება საბავშვო ბაღში რეგისტრაციის განაცხადის დაფიქსირების შემდეგ, განაცხადი გადაწყვეტილების მისაღებად იგზავნება სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების დირექტორთან. რეგისტრაცია შესაბამისი ასაკის მიხედვით

* ბაგის ასაკობრივ ჯგუფში რეგისტრაციის გავლას შეძლებს ყველა ის ბავშვი, რომელიც სასწავლო-სააღმზრდელო წლის დასაწყისში - 15 სექტემბერს 2 წლის იქნება.

* ბაღის ჯგუფში კი რეგისტრირდება ყველა ის ბავშვი, რომელსაც სასწავლო-სააღმზრდელო წლის დასაწყისში -15 სექტემბერს შეუსრულდება 3 წელი.

საბავშვო ბაღებში ჩირიცხვისას გასათვალისწინებელი პრიორიტეტები საბავშვო ბაღებში, აღსაზრდელთა რეგისტრაციისა და ჩარიცხვის პროცესში, პრიორიტეტები ენიჭებათ შემდეგი კატეგორიის ბავშვებს:

* სოციალურად დაუცველი ოჯახის ბავშვები;

* სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები; იმ ოჯახის ბავშვები, რომელთა შვილი (შვილები) სარგებლობენ იმავე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მომსახურებით;

ჩარიცხვის პროცესი, განაცხადის დამუშავების შედეგად გაერთიანების დირექტორის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ბავშვი ჩაირიცხება შესაბამის საბავშვო ბაღში.

* აღსაზრდელთა ჩარიცხვა განხორციელდება 10 აგვისტოდან 20 აგვისტომდე

* ჩარიცხულ აღსაზრდელთა სია გამოიკვრება შესაბამის სკოლამდელ დაწესებულებაში–საბავშვო ბაგა-ბაღებში.

2017-2018 სასწავლო-სააღმზრდელო წელი 15 სექტემბერს დაიწყება.

***ა(ა)იპ ,,ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება.***

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, როზეტა შულაია, ბორის ბერაია, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია. კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში. ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57; 577 21-41-44. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში". თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.